78 ფ.; 33X21, ცისფერი ქაღალდი; უცდო; პირველი 7 ფურცელი მოცილებულია ხელნაწერს; მხედრული; სათურები და თავების დასაწყისები სინგური; დაუწერელია: 5r—v, 13v, 25v, 32r—v, 46v, 53r—v, 61r—62v, 77r—78v; კვირნიშანი: 1814 (4 ფ.); [XIX ს.].

„ყოვლად საზოგადო ისტორია. ნაწილი პირუშლი. ისტორია შობადმდე ქრისტესსა. პერიოდი პირუშლი. ადამითგან ნოემდე ანუ შექმნითგან სოფლისა რღუნადმდე. წელნი სოფლისა 1-თგან 1656-მდე უწინარეს შობისა ქრისტესსა 3984-თგან 2328-მდე. — კინლა უწინარეს ოთხიათასთა წელთა შობადმდე ქრისტესსა შექმნა ღმერთმან სოფელი...“ 23r—75v.

შენიშვნები: 1. ტექსტი დაყოფილია 6 პერიოდად: 23v—25r, 29r—30v; 43v—46v; 51r—52v; 59r—60v; 74r—75v. თითველ პერიოდს მოსდევს „სხუდასხუანი აღნიშვნანი ისტორიისათს“.

2. ტექსტს წინ უძღვის: ა. „შესლუა ისტორიისა შინა — 1. ისტორია იწოდების ესრეთ ბერძნლისაგან ლექსისა, რომელიცა პინაქსს ხედუას...“ (1r—4v).

ბ. „წინაგანმზადებითი დანაკუთება ყოვლად საზოგადოასა ისტორიისა. განყოფა 1 ერთამებრ. — პირველთა ათწიდეშეტა საუკუნეთა შინა სოფლისათა დააწინებდენ კაცი სარწმუნო არს ნაწილსა აზიისასა და არა იუჟნენ ჭერეთ არავითარნი ერნი...“ (6r—13r).

გ. „წინაგანმზადებითი დანაკუთება ყოვლად საზოგადოასა ისტორიისა. განყოფა 2, პერიოდთამებრ. ნაწილი პირველი. ისტორია შობადმდე ქრისტესსა. პერიოდი პირუშლი. ადამითგან ნოემდე ანუ შექმნითგან სოფლისა რღუნადმდე. — ამას პერიოდსა შინა გარემო ათექვსშეტა საუკუნეთა ნახევროთურთ მიიღო ქმუყანამან ყოფად და სახე იგი...“ (14r—17r). ეს ნაწილი შეიცავს 4 პერიოდს.

დ. „წინაგანმზადებითი დანაკუთება ყოვლად საზოგადოასა ისტორიისა. განყოფა 2. ნაწილი მეორე. ისტორია შემდგომად შობისა ქრისტესსა. პერიოდი პირუშლი. იესო ქრისტეთგან თეოდოსადმდე და დიდად დაშენებამდე ერთა ანუ დაწყებითგან ქრისტეანობისა განყოფადმდე...“ (17v—22r). ეს ნაწილი შეიცავს 6 პერიოდს.

3. ტექსტს ახლავს ტაბულები: ა. „თანდროებითი ტაბლიცა (ანუ სქემა) ძეგლის ისტორიისა მეორისა პერიოდისათს 1657-თგან 2452 წ. ს. (31r):

ბ. „თანდროებითი ტაბლიცა ძეგლისა ისტორიისა მეექვსისა პერიოდისათს...“ (76r).

4. ტექსტი თარგმნილია რუსულიდან. 75v-ზე წერია: „გამართულია დედანხედ“.

5. ჩვენი ტექსტის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს S—398-ის ქვეშ და-
ცული „საზოგადო ისტორია. ნაწილი მეორე“, რომელიც რუსულიდანა თარგმნი-
ლი იოანე ბაზლიძის მიერ.

(1279)

3077

ქვემოთ

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. XVIII
(ცრცელი რედაქციისა)

56 ფ.: 33,5×23; ქაღალდი, გაყვითლებული; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; ნა-
კული; მხედრული; სათურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; ტექსტი ჩასმულია
სწორკუთხოვან ფერად ჩარჩოში [XVIII ს. ბოლო]. ?

[შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი]

„...კვალი სძებნეს და უყვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევისა...“ 1r—56v.
წყედება:

„...თუმც მაშინ არ დამეშალა. თქვენ უმართლვე ხართ მღურვასა.
თავსამცა ჩემსა ვაბრალებ მას საშინელსა ურვასა.
მაგრამ უბრალოდ ჩავიჭერ ცრემლთა მორევსა ცურვასა.
და ამაღ ვერავინ დამიშლის გულსა სისხლისა წურვასა...“.

შენიშვნები: ტექსტი იწყება 1937 წლის აკადემიური გამოცემის 98-ე სტრო-
ფიდან.

2. ტექსტი ნაკულია. აკადემიურ გამოცემასთან შედარებით აკლია შემდე-
გი სტროფები: 108—143 (1—2 ფურცლებს შუა); 153—183 (2—3-ს შუა); 196—
211 (3—4-ს შუა); 232—241 (5—6-ს შუა); 279—387 (9—10-ს შუა); 407—446
(11—12-ს შუა); 457—519 (12—13-ს შუა); 529—540 (13—14-ს შუა); 573—609
(17—18-ს შუა); 618—633 (18—19-ს შუა); 643—652 (19—20-ს შუა); 659—675
(20—21-ს შუა); 684—701 (21—22-ს შუა); 712—959 (22—23-ს შუა); 970—
1004 (23—24-ს შუა); 1015—1040 (24—25-ს შუა); 1049—1070 (25—26-ს შუა);
1080—1086 (26—27-ს შუა); 1107—1155 (28—29-ს შუა); 1184—1261 (31—32-ს
შუა); 1272—1311 (32—33-ს შუა); 1322—1358 (33—34-ს შუა); 1378—1395
(35—36-ს შუა); 1434—1453 (39—40-ს შუა); 1463—1472 (40—41-ს შუა);
1503—1536 (43—44-ს შუა); 1567—1576 (46—47-ს შუა); 1587—1603 (47—
48-ს შუა); 1624—1656 (49—50-ს შუა); აკლია აგრეთვე: 191, 193, 222, 968,
1043, 1373, 1620, 1661 სტროფები.

3. აკადემიურ გამოცემასთან შედარებით ხელნაწერში ზედმეტია სტროფები,
რომლებიც ს. იორდანიშვილის წიგნში „ვეფხისტყაოსანი. ჩანარ-
თი. და დანართი“ შემდეგი ნომრებითაა წარმოდგენილი: 216¹ 276¹, 597¹, 1614¹²,
655¹, 655² 1663¹.

აშ წიგნში არ არის შესული შემდეგი სტროფები:

„მოუქდეს, ჯოგი წაუსხეს, დაღუნეს ჩიხი და ღობა,
იგ უყვეს შეუტუბებლად მათ ლალთა კარგი ლაღობა,
ფრიდონ გაფრთხილდა საომრად, მაგრამ ტარიელ დაღობა,
და სამთა შეენდა სიცილი და ტკბილი ამხანაგობა“. (35v. II სტროფი).

„შინა წავიდეს, გარდაქდეს ეს თურე არ ლაყაბია,
რამაზ ჰყავს ორთა დედათა, ყელსა მანდილი აბია,
შეშინებულნი საბრალოდ დღულდა მართ ვითა ქვაბია,
და შეგცოდე პაპკლ მე ზეალმე რამცაგინ მოასაბია“. (48v, III სტროფი).

„გამოეგებნეს... და ავთანდილ იარეს დღენი მცირენი,
გზამან გაყარანა, წავიდნეს თავისთვის ანატირები,
კარგათ მოუქდეს მათ მათნი თავისა დანაბირები
და ავთანდილ მიხუდა არაბეთს, მიხუდა არ ცუდი ჰიერენი“.

(50r, V სტროფი).

ქვემოთ

211-11

216-1

1015

1883

4. ჩვენი ხელნაწერი R ლიტერითაა აღნიშნული ს. ა. ო. რ. დ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ს. წიგნში „ვეფხისტყაოსანი. ჩანართი და დანართი“. 1968 წ.

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს: *Описание*. ტ. II, № 327.

6. 52r-ზე ქალაღის დაკრულ ზოლზე მთელი სტრიქონია დაწერილი საბა ორბელიანის მსგავსი ხელით:

„აბჯარ ახილნი დაკრევილნი. ტან-სარო შემოფრევილი“.

მიანწერები: 1. „ქ. ლონ ბედნიერის ხემწიფის კირი და სატიკიარი მოსცეს მათ ფეხთ მიწის მტვერსა შანშეს შვილს გიორგის. მისი ნამ სირჩი(!) ჯაეახი (21v).“

2. „თუ ფრიდონ მე შენ გაჯობო, ერთი... უყიღო თავადის ასულ კენიარუ სევისა... თუ ამაში გაეტყუნდე, სპტრაფი(!) გავიღო“. (39v). იქვე: „შე ამის ქვემოთად ხელს ვაწერ: თუ ამაზედ გაემტყუნდე, ამ სანაძლეოსი აღმასრულებელი ვიყო მე ევგენ ევგენისის ძე“.

მიანწერებია აგრეთვე: 7r, 18r, 31r, 38r-ზე.

(1280)

3084

უამნი. XVIII

357 ფ: 14X9; ქალაღი. მოყვითალო; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; ნაყულაო; ნუსხური; სათურები და დასაწყისი ასოები სინგურით: „აღმწერელი“ მთავარდიაკონი ზაქარია (303v, 353v); [XVIII ს.].

[უამნი] „...კურთხეულ ღმერთი ჩვენი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ. კვკრიაკისა ცისკრად შუალამისად მდღელმან თქუას: კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი...“ 1r—357v.

წყდება: „...ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა დედა მისი და და დედისა მისისა მარიამ კლეობასი და მარიამ მაგდანელი. ხოლო იესუ. ვითარცა იხილა დედა თვისი და მოწაფე...“.

შენიშვნები: I. ხელნაწერი შევადარეთ ერეკლე მეფის სტამბაში გამოცემული „უამნის“ ტექსტს (1791 წ. დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში. 82.9291). ძირითადად მოსდევს მას. გამოცემული უამნისაგან განსხვავებით ჩვენი ტექსტი შეიცავს შემდეგ ავტორიან ლოცვებს:

1. ლოცვა წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარისი (74v—75v).
2. „ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა (75v—78v).
3. „ განთიად და მიმწებრ სათქუმელი წმიდისა იოანე დამასკელი (90r—91v).
4. ლოცვა ყოვლად წმიდისა ლეთისმშობლისა მიმართ, თქუმული ღირსისა კრიფლოფის არქეპისკოპოსისა კონსტანტინე ქალაქისა (100v—105v).
5. ლოცვა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა (107r—110v).
6. „ წმიდისა ამონისი (110v—111r).
7. „ წმიდისა ეფრემისი(!) (111r).
8. „ წმიდისა ისაკ განშორებულისა (111r—112v).
9. „ წმიდისა ტიმოთესი (112v—113r).
10. ვალოზანი ზიარებისნი, თქუმული თეოქთისტე მონოზანისა (117r—121r).
11. ლოცვა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა (122v—123r).
12. „ წმიდისა იოანე დამასკელისა (123r—v).
13. „ წმიდისა იოანე ოქროპირისა (123v—124r).
14. „ წმიდისა სვმონ მეტაფრასისა (124v—125r).
15. „ წმიდისა იოანე დამასკელისა (125r—v).
16. „ წმიდისა დიდისა ბასილისი (125v—126r).
17. „ დიდისა იოანე ოქროპირისა (126r).

18. " წმიდისა სუმონ მეტაფრასისა (126r—131v).
19. " წმიდისა სუმონ ახლისა ღმრთისმეტყუელისა (131v—133r).
20. " წმიდისა იოანე დამასკელისა (133r—v).
21. " თქმული წმიდისა იოსებ გამომეტყუელისა (133v—135v).
22. " ზიარებისათჳს თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისა (135v—138v).
23. " წმიდისა იოანე ოქროპირისა (140r).
24. " მისეე იოანე ოქროპირისა (140r).
25. " წმიდისა დიდისა ბასილისა(1) (140v).
26. " სუმეონ მეტაფრასისა (141r).
27. " წმიდისა კვირილე ალექსანდრიელისა (141v).
28. ლოცვაი ყოველთა შუდელთა დღეთანი, რომელიცა ვინ ჰყოფდეს აღსარებისათჳს ცოდვათა კვრავესა სათქმელი. თეოფანესგან სათქმელი (149r—155r).
 - ა. ლოცვა ორშაბათსა სათქმელი ღმრთისა მიმართ და წმიდათა ანგელოზთა თქმული იოანე დამასკელისა (155r—161r).
 - ბ. ამსეე დღესა სხუად ლოცვა სინანულისა, თქმული ეფრემისა (161r—164r).
 - გ. ლოცვა სამშაბათსა სვედრებელი წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა (164r—170r).
 - დ. სამშაბათსავე ლოცვა აღსარებთ თქმული ეფრემისი (170r—172v).
 - ე. ლოცვა ოთშაბათსა, სათქმელი სვედრებელი წმიდისა ღმრთისმეტყუელისა, თქმული იოანე დამასკელისა (172v—176r).
 - ვ. ოთშაბათსავე ლოცვა წმიდისა ეფრემისი სინანულისათჳს (177v—180r).
 - ზ. დღე... ხუთშაბათ საკითხავი სინანულისა სვედრებელი წმიდათა მოციქულთა, თქმული იოანე დამასკელისა (180r—186r).
 - თ. ხუთშაბათსავე ლოცვა, თქმული წმიდისა ეფრემისი (186r—187r).
 - ი. დღესა პარასკევსა... თქმული იოანე დამასკელისა (187v—192v).
 - კ. პარასკევსავე ლოცვა სინანულისა, თქმული ეფრემისი (192v—194r).
 - ლ. შაბათსა საკითხავი შესხმა წმიდათა მოწამეთა და მამათა, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა (195v—208r).
 - მ. ლოცვა შაბათსავე სათქმელი სინანულისა, თქმული წმიდისა იოანე დამასკელისა (208r—211v).
 29. ლოცვა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი მთავარეფესკოპოსისა სინანულისათჳს ცოდვათასა, თარგმნილი წმიდისა მამისა გიორგისი (211v—220r).
 30. ლოცვა სინანულისა, თქმული მისეე წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი (220r—223r).
 31. ლოცვა წმიდისა მამისა დანიელისი ბრძოლასა სიძვისასა (223v—224r).
 32. ლოცვა წმიდისა სუმონისი გელისიტყუათათჳს (225r—v).
 33. " სინანულისა წმიდისა ეფრემისა (227v—228v).
 34. " წმიდისა იოანე მახარებლისა (320v—321r).
 35. თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა (333r—334r).
 36. მცნება წმიდისა ბასილისი მღვდელთმოდღუართ(1), თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისი (334r—335r).
 37. მცნება წმიდისა ბასილისი ყამსა წირვისა მღვდელთა მიმართ (351r—v).
- II. ტექსტს მოსდევს ზანდუკი, რომლისგანაც მხოლოდ 2 ფურცელია შემორჩენილი. იწყება 32-ე ლოციდან (352r—353r).

111. ზანდუკის შემდგომ მოდის: „შობასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა. — მღლთა შინა აღდგა მარიამ და წარვიდა მთად...“ (354v).

ანდერძები: 1. „[უფალო] შეიწყალე ფრიად ცოდვილი ზაქარია მთავარ-
დაიკონი“ (303v).

2. „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ზაქარია“ (334r).

3. „სახელთა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ერთისა სამგვა-
მოენისა და თაყუანის საცემელისა ღმრთიებისა თანაარისისა და ცხოველთმთავრო-
ბითისა სამებისა ერთისა ღმრთისათა, რომლისა მიერ ყოველი მოცემა კეთილი
და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო გარდამოვლოს და მიეფინების ყოველთა
ნიჭისმყოფელთა და მსახურთა მისთა და აღმსარებელთა ნიჭისა მისისათა, ხოლო
ჩემებრ ცოდვილთა ესევეითარი ესე ნიჭი ყოველადვე უტეხო არს. აჰა ესერა ძა-
ლითა და შეწევნითა მალისა ღმრთისათა შე, ფრიად ცოდვილი და ყოველთა-
კაცთა უნარჩევნი მთავარდაიკონი გლახაკი ზაქარია, ღირს ვიქმენ აღწერად
ველითა ჩემთა წიგნისა ამის ქამნისა. დიდად ვიკირვე და ვიხარვე და ფრიად
გულსმოდგინება მქუენდა, ვიდრემდის ძალითა ღმრთისათა სრულეყავ წიგნი ესე.
ამანო ჩემნო, კეთილად მეცნიერნო! გვედრები ყოველთავე, რომელნიცა მი-
ემთხვენეთ და აღმოვიკითხვიდეთ ნაშრომსა ამას ჩემსა, შენდობა ყავთ ჩემ ცოდ-
ვილისათჳს“ (353v).

(1281)

3085

დავით უძლეველი, წიგნი საზღვართა. XVIII
ფრაგმენტი

19 ფ.: 15,5×11; ქალღი, ყვითელი დალაქაებული; უყდო, დაშლილი;
5 ფ. ამოვარდნილია; მხედრული; [XVIII ს.].

[დავით უძლეველი, წიგნი საზღვართა]. „...ყოდეთ რა ცხო-
ველი სიტყვიერი მოკვდავი გონებისა და კელოვნების შემწყნარებელი...“
1r—19v.

წყდება: „რამეთუ იგივე არს მოკვდავი და მოკვდავებითა, რამეთუ
მოკვდავებითა დამატებული ზმნა არს და არა საკელი...“.

შენიშვნა: ფრაგმენტი შევადართ H—3125-ის სრულ ტექსტს. ფრაგმენტი
შეიცავს 4 თავს (21 თავიდან); I და IV თავები მხოლოდ რამდენიმე ფურცლი-
თა წარმოდგენილი; II და III თავები სრულადაა. ფრაგმენტის ტექსტი ზუს-
ტად მიყვება ზემოთაღნიშნული ხელნაწერის ტექსტს (2v—13v).

(1282)

3086

პარაკლისი და ლოცვანი. XVIII

56 ფ.: 16,5×10,5; ქალღი, გაყვითლებული; ტვიფრული ხის ყდა; ნაკლუ-
ლი; ნუსხური; სათაურები სინგურით; გადამწერი ბერი იოანე (15r, 33r, 51r);
[XVIII ს.].

[პარაკლისი და ლოცვანი]. „ცნობისა უცნაურისა. ცნობისა მეძი-
ებელმან ქალწულმან კმაჲ ყო მსახურისა მიმართ წიაღთაგან უბიწოთა...“
1r—51v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის შედგენილობა:

- ა. სხუა ლოცვა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა (8r—v).
 - ბ. სხუა ლოცვა სვედრებელი (8v—9r).
 - გ. ლოცვა დღითი-დღე სათქმელი წმიდისა ღმრთის მშობელისა მიმართ, უკეთეს ვსურის ხილვა მისი ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა (9r—11v).
 - დ. ლოცვა ვანთიად და მიმწუხრ სათქმელი წმიდისა იოანე დამასკელიისა (11v—13r).
 - ე. ლოცვა, თქმული წმიდისა მარკოზისი (13r—15r).
 - ვ. პარაკლისი ახლადთარგმნილი სვედრებელი ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობლისა მიმართ (15v—22v).
 - ზ. პარაკლისი სვედრებელი წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა (23r—33r).
 - თ. ესე ლოცვა ყოველთა დღეთა (34r—37v).
 - ი. ლოცვანი ღამისნი ათორმეტთა ჟამთანი (37v—43v).
 - კ. ლოცვანი დღისანი ათორმეტნი (43v—51v).
2. ბოლოს ერთის „პასქალია“, რომელიც მოიცავს 1744—1763 წლებს.
 3. ხელნაწერი აღწერილი აქვს დ. კარიკაშვილს (იხ. «კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავისა», 1904 წ. გვ. 45).
- ანდერძი:** „ღმერთო შეიწყალე ცოდვილი ბერი იოანე“ (15r, 33r, 51r).
მინაწერები: 18v, 19r.

(1283)

3087

კურთხევანი. 1757

129 ფ.; 21,5×15,5; ქალღი; თავ-ბოლონაკლები; ტყავდაკრული (ახლად რესტავრირებული); ნუსხური; სათურები და საზედაო ასოები სინგური; გადამწერი ბასილი (69r); 1757 წ.

[კურთხევანი]ეება და მიხვედ. ეგრეთვე აქაცა, ქმენ უხილავად სიმტკიცითა შენითა, აკურთხე ქორწილი ესე და მომადლე მონათა ამათ შენთა“ 1r—129v.

წყდებ: „...უფალო, ო, ღმერთო ჩუენო, რომელმან მოწყალეებისა შენისა მოსლვითა ყოველი არაწმინდებანი მტერისანი შემუსრენ, რომელმან ბრძანე...“

შენიშვნა: კურთხევანის შედგენილობა:

- 1. კურთხევა გვირგვინისა (1r—7r).
- 2. კურთხევა ქორწილისა (7r—8r).
- 3. განგება ქორწილისა (8v—11v).
- 4. კურთხევა ზეთისა (11v—38r).
- 5. ლოცვა მცირისა აიაზმისა (38r—47v).
- 6. წესი დიდისა აიაზმისა (48r—57v).
- 7. პარაკლისი ღმრთის მშობლისა აღსრულებასა ზედა ცოდვილისასა, თქმული ფთვიმის მიერ მონაზონისა და სინგელისა (57v—69r).
- 8. ლოცვა გულმაიწყობისა (69v).
- 9. „სულთბრძოლისა (70r—75r).
- 10. „სოფლის კაცისა მუშლებური (75r).
- 11. წესი ერისკაცსა ზედა მიცვალებულსა (75v—100v).
- 12. ლოცვა ყოვლად სიყვდილისა შესანდობელი (100v—101r).
- 13. წესი, რომელი აღსრულების ჩჩვლსა ზედა აღსრულებულსა (101r—108v).

14. წესი და განგება პანაშუდისა, ახლად თარგმნილი ბერძელისაგან, რომელსა აღვასრულებთ მიცვალებასა ზედა (109r—117r).
15. ლოცვა თესლთა ზედა დასათესავად (117r—v).
16. „ კალოსი (117v—118r).
17. „ პირველისა ხილისა (118r—v).
18. „ ჭურჭნისა ეკლესიასა შინა (118v).
19. „ დანერგვისა ვენაჯისისა (119r—v).
20. „ სოლობასა ვენაჯისისა (119v).
21. კურთხევა ღვინისა ახლისა, ოდეს იქმის ვინმე (119v—120r).
22. წესი, რომელი აღვასრულებთ ყანისა, ვენაჯისა, ბოსტნისა — უკეთეს ანებდეს მფრინველნი... (120r—122v).
23. კურთხევა მარილისა (122v—123r).
24. „ წანდილისა (123r—v).
25. „ ყველისა და კეტრცხისა (123v—124r).
26. „ განჯსნასა კორცისასა წმიდა კვრიაყესა აღდგომასა (124r—v).
27. ლოცვა შეგინებულსა მჟამელსა ზედა (124v—125r).
28. „ სახლისა შეეგრძნებულისა(?) (125r—126v).
29. „ საკირის დაწვისა (126v—127v).
30. „ რა ეამს მოვიდეს ყრმა სწავლად წიგნისა (127v—128r).
31. „ ყრმისა ზედა ავის გულის შურაინისასა (128r—129v).
32. წესი, უკეთეს რაწმინდაა რამე შთავარდეს ჭურჭელსა ღვინისა, თავლისა და ზეთისასა ანუ სხვისა რაჲსამე შინა (129v).

ანდერძი: „დავსწერე გამოკრებული ესე კურთხევანი. სტანბის კურთხევანზე გარდმოვიღე, რაც სოფელში მოიხმარებოდა. ასო მეტნაკლებობითა ნუ მწყევთ. ღმერთმან უწყის, დიდის კირითა დავსწერე შიშლითა და წყურვილითა. ბური ლიტრა აბაზათ იყო, კიდევ არ იშოვებოდა, სიმინდი, ფეტვი, ქერი, ღობი, ღობიო ერთფასათ იყო — აბაზათ იყო ლიტრა. არ იშოვებოდა. ოდეს დავსწერე წიგნი ესე, ვიყავ ორმოცდაათის წლისა. დავსწერე ნუნის კანდეაკმან ბასილი მღვდელმან. ქორიციონსაა ორმე. ვი მას წელსა“ (69r).

(1284)

3091

ლოცვანი. XV ს.

77 ფ.: 13×10; ეტრატე: მსხვილი ნუსხური; ძალიან დაზიანებული, ნახევრად დამწვარი; თავბოლონაკლული; ამოვარდნილია 69—77 ფურცლები; სათაურები სინგურით; [XV ს.].

[ლოცვანი] „...ცხოვრებო... ზედა ქყნს... იგინი მცბ...“ 1r—77v.

შენიშვნა: პირველი ფურცლები თითქმის სულ არ იყოთხვა.

შეცვლით ზოგი სათაურის ამოკითხვა:

1. ლოცვა ჩრულ[ისა] ზედა აღისრულ[ებულისა] (14r).
2. „ მღვდელისა (15r).
3. „ თესლსა შესვენებულისა (17r).
4. განგება წყლისა წმიდისა ღმრთისა (18r).
5. სახარება მარკ[ოზისი] (27r).
6. წარდგომანი სულისანი (51v).
7. გალობანი სულისანი (54r).
8. სახარება (70r).
9. კურთხევა (75r).
10. ლოცვა შეგინებულისა (76r).

3092

სხვადასხვა დოკუმენტები გურიის შესახებ.

გადატანილია ისტ. დოკუმენტების კოლექციაში, იხ. Sd—2368—2800.

3093

წერილი ოდიშის დედოფლის ნინოსი. 1809 წ.

გადატანილია „სხვადასხვაში“, იხ. № 41.

(1285)

3163

ომანიანი. 1782

100 ფ.; 20×15,5; ქაღალდი, გაყვილებული; ტვიფრული მუყაოს ყდა; დაშლილი; მხედრული; სტროფების დასაწყისები და სათაურები სინგურით; გადამწერი კორნელი ჩაჩიკასშვილი (100r—v); შემოწირულია კნ. მარიამ დავითის ასულ ჭავჭავაძის მიერ; 1782 (100v).

„წ ი გ ნ ი ო მ ა ი ნ ჭ ა ბ უ კ ი ს ა. სხვა ანბავი, დასაწყისი. ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომაინ ჭაბუკის ცხოვრება. ზოგი მიიბაძს ამა ამბავსა ვეფხისტყაოსნისა ამბისა დასაწყისი(!), რომელი მიერთიგან მოიღოს სიტყვამან მოხსენებად.

— დიდება შენდა, დიდება, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო...“ 1r—100r.

შენიშვნა: ხელნაწერი სხვა ნუსხებთან ერთად საფუძვლად დაედო გამოცემას (იხ. ომაინიანი, გ. ჭაკობიას რედაქციით, 1939 წ. გვ. VIII—IX).

ანდერძები: 1. სახელითა ღვთისათა გასრულდა წიგნი ესე სარდიან ხელმწიფისა და მისის ძის ომაინ ჭაბუკისა. ქება და დიდება მალალთა შინა ღმერთსა. მახსენებელი მათნი და მწერალი ამისი კორნელე უფალმან აცოცხლოს, აცხოვნოს მეუღლე და ძენი და ძმა და დანი. უცოცხლე დღეთა სიგრძითა, სიხარულითა, შვილითა სიმრავლითა და სენთა და მტერთა მოშორებითა ამინ, ამინ, ამინ“ (100r).

2. განსრულდა წიგნი ესე ომაინ ჭაბუკისა ხელითა ჩაჩიკასშვილის კორნელესგან. ღმერთო მშვიდობაში ახმარე მსყიდველსა. განსრულდა ოკდონბერს ლა, ქკს უო“ (100v).

მინაწერები: 1. [ვახტანგ VI] „იმატა ასეთ ასეთი, ითვის თავსა ატამი, იმატა ასეთ ასეთი, ითვის თავსა ატამი“. (ფორზაცი).

2. „თქვენი ჰირი შეეყარა თქვენს მახლის წულს სალომეს“ (50v).

3. „შენ განტრიან ყოველი ენანი ჩემო მიხაკო და ჩემო მიხაკო“ (ქვედა ყდის საცავი ფურცელი).

(1286)

3164

ვოლტერი, ტრაგედია „ელიპი“. XIX

20 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; უყდო; დაფურცლული; თავნაკლული; მხედრული; აბზაცის დასაწყისები სინგურით; დაუწერელია 19v, 20r—v; შემოწირულია კნ. მარიამ დავითის ასულ ჭავჭავაძის მიერ; [XIX ს.].



[ვოლტერი, ტრაგედია „ელიპი“] „...ანტიღონა. ოს! არა ვზოგავ მე თავსა ჩემსა განცხრომადისა დიდებისათვის მაგისა. ამპარტავნობ ამა ძონძითა, ჩემის გლახაკობისათა, შეთვლილ ვყოფ მას ბრწყინვალეს გვირგვინად...“ 1r—19r.

შენიშვნა: შეიცავს II მოქმედების ნაწილს და III, IV, V მოქმედებებს მთლიანად.

(1287)

3168

ქილილა და დამანა (საბახეული რედაქციის). XIX ფრაგმენტი

86 ფ.; 33,5×21,5; ქალაღი, მომწვანო; მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული; დაუწერელია 85—86 ფ.; ხელნაწერი ჩუბინაშვილისეულია; კვირნიშანი: 1813; [XIX ს.].

[ქილილა და დამანა]. „კარი პირველი ქილილა და მანასი, სპარსულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან.

— მეც მოვეყვებ სპარსთა ზღაპართა თარგმანებისა მეგებართა...“ 1r—84v.

წყდება: „...ლომმა სხვა რიგი პასუხი იწყო: უნდოდა დამანასათვის მისი შეშინება არ გაეცხადებინა. ამაზედ შეთურბას ყვირილისა ესრე ძლიერი კმა მოვიდა, რომე ლომი შიშით თვისის ადგილიდამ...“.

შენიშვნები: 1. ფრაგმენტი მიეყვება „ქილილა და დამანას“ 1962 წ. გამოცემას (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, გვ. 29—140).

(1288)

3175

სქიმა ოთხთათვის ნივთთა. 1798

1 ფ.; 17×10; ქალაღი, გაყვითლებული, კიდებგაცრეცილი; მხედრული; შედგენილი იოანე ქართველიშვილის მიერ; 1798 წ. (იხ. ანდერძი); დაწერილია მხოლოდ 1r.

⟨სქიმა ოთხთათვის ნივთთა⟩.

4	1	2	3	4
ოთხნი ნივთნი	ქუცყანა ანუ მიწა	წყალი	ჰაერი	ცეცხლი
ოთხნი დრონი	სთულისა ანუ შემოდგომა	ზამთარი	ჰაერისა ანუ გაზაფხული	ზაფხული

შენიშვნა: „სქიმა“ წარმოადგენს ტაბულას, შედგენილს 7 პორიზონტალურ და 6 ვერტიკალურ დახაყოფისაგან.

ანდერძი (შემდგენელს): „ვიწრომისმოყუარე წინამდებარე ესე სქიმა და

დავსდევ ადვლ-საცნობელად ოთხთათ-ს ნივთთა, დროთა და ვითარებათა მათთა, ეგრეთვე ოთხთათ-ს ბალღამთა, ფერთა და გემოთა და რღ-თაცა და რაოდენთა დღეთა შა შეცვთ მოქმედებენ იგინი, აღმომღებმან რ-ლთამე ფისიკისაგან და უფროსლა საღთოასა დამასკილოსა წიჯნისაგან. წელსა 1798 ოქტისის 15. სიბრძნის მოყუარე მეფის ძის იულონის კარის ხუცეს-მწიგნობარ მღვდელი იოანე ქართველოვი. ქალაქსა გორსა“ (1r).

(1289)

3176

სხვადასხვა ხელნაწერების ფრაგმენტები. XIX

ა

ფიზიკის სახელმძღვანელოს ფრაგმენტი

4 ფ.: 20×15,5; ქალღლი. მოყვითალო; დაფურცლული; მხედრული. [XIX ს.].

„III. წონა, ცენტრი სიმძიმისა, სასწორი. — წონა. შეიძლება ყოველი სხეულის დანაწილება ისეთ რიგათ, რომ იგინი წარმოგვიდგენდეს წერტილებს“ 1r—4v.

წყდება: „...უღელის მხრების წონასწორობა. თუ AB და BC სასტიკათ ეთანასწორებიან ერთმანეთს...“.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილი უნდა იყოს ფრანგულიდან. ამას მოწმობს რამდენიმე ფრანგული სიტყვა, რომლებიც ქართულ სიტყვებს აქვთ მიწერილი ფრჩხილებში (1r—v, 2v). ზოგან ტექსტი ნასწორებია, გააღაზულია და ახალი სიტყვებია ჩაწერილი.

ბ

სლავი ხალხების (ჩეხები, სერბები, ბულგარები...) მე-18—19 ს. მოღვაწეთა შემოქმედების დახასიათება

21 ფ.: 26,5×20,5; ქალღლი. მოყვითალო; დაფურცლული; მხედრული; ფურცლის მარჯვენა არშია დაუწერელია. [XIX ს.].

„სლავიანის ეროვნების აღორძინების ეპოქა აღბეჭდილია ერთი შესანიშნავი მოვლინებით. ამ მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლები, მისი სულის ჩამბერავნი იყვნენ ხალხის შვილები, მისი სისხლი და ხორცი...“ 1r—21r.

წყდება: „...ჩვენ ყველაფერი გვაქვს, ამბობს ის სხვაგან, რაც საჭიროა კაცობრიობაშიდ დიდი როლის დასაქერათ: ზღვა და ხმელეთი, ოქრო და ვერცხლი, მარჯვე ხელები, ენა და სასომო ლექსები, ერთილა გვაკლია ჩვენ — თან-ზმობა და განათლება...“.

შენიშვნები: 1. ტექსტი შინაარსით წარმოადგენს სლავი ხალხების (ჩეხები, სერბები, ბულგარები...) მე-18—19 საუკუნეების მოღვაწეების: ობრადოვიჩის, იუნგმანის, ვანკას, კოლარის, ლინდას შემოქმედების დახასიათებას.

2. ტექსტი ზოგ ადგილას ნასწორებია იმავე ხელით.

8

მხატვრული ნაწარმოების ფრაგმენტი. XIX

2 ფ.: 31X20; ქალაღი, გაყვითლებული, კიდეებშემოცრული; მხედრული [XIX ს.].

[მოთხრობა]. „ქუთ...ლო, რა ევრე შეგყვარებიათ ქალაქი, რომ იწვით და იდაგვით შიგ, ჰყლაპაბთ მტერიან ჰაერს და თავი მაინც ვერ დაგისწევიათ იქედგან“. 1r—2v.

წყდებალექსით:

„...მთვარიანსა ცაშიდ მიიფრენდა მსახური ღეთისა,
 მშუენიერად, ნაზათ მასთანავე ის დამღერებდა,
 გუნდი მთვარისა, ვარსკვლავის და ღრუბლებისა,
 წმინდასა მისსა სიმღერასა ყურსა უგდებდა“.

შენიშვნები: 1. ტექსტი რალაც მხატვრული ნაწარმოების ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.

2. ტექსტი ბევრ ადგილას ნასწორებია: გადახახულია მთელი სტრიქონები და ახალი სიტყვებითაა შეცვლილი.

დ

მოთხრობის ფრაგმენტი. XIX

4 ფ.: 31X20; ქალაღი, გაყვითლებული; მხედრული; ფურცლის მარცხენა ნახევარია დაწერილი; დაუწერელია 3v, 4r—v, [XIX ს.].

[მოთხრობა]. „ოჰ, მადლობა ღმერთსა, არ კი დავადწიე ბოლოს თავი ამ დასაქცევის ნისლის და ყინულის ქვეყნიდგან, — ვფიქრობდი მე ცეცხლის ეტლში გაშოტვილი“ 1r.

წყდება: „რაც უფრო და უფრო იწვეთ წინ, მით უფრო და უფრო ცვიფრდებით, ვაოცებული ხართ, აღტაცებული ხართ ამ სიმშუენიერით და სიმდიდრით...“ 3r.

შენიშვნა: ტექსტი რალაც მხატვრული ნაწარმოების ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს.

9

ტელეფონი, მიკროფონი, ფონოგრაფი. XIX

4 ფ.: 36X23,5; ქალაღი; მხედრული; 4r—v ფანქრითაა ნაწერი; [XIX ს.].

„ტელეფონი, მიკროფონი, ფონოგრაფი. — კარგა ხანია იცოდენ, რომ ელექტრონით შეიძლება სიტყვების გადაცემა ძლიერ შორს...“ 1r—4v.

წყდება: „...უმთავრესი მოთხოვნაა ჰაერის ტელეგრაფისა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც გამგზავნის სტანციაში, აგრეთვე მიმღებშიც აპარატები უნდა მოქმედებდნენ თანანაზად, სინქრონიკულად, ესე იგი, ერთს და იმავე დროს. თანხმობა იმას ქვია, რომ ერთსა და იმავე დროს ორივე სტანციის აპარატებში სიმრგვლედი ამართულ ღერძს მარხილები ჰქონდეთ ერთნაირი სიჩქარის მასსა, აგრეთვე ანბანთანინან ბორბლებსაც...“

შენიშვნები: 1. ტექსტი შავს წარმოადგენს: ბერგანაა გადახატული, ნაწორები მეღვინით და ფანქრით.

2. შესაძლებელია თარგმნილი იყოს რუსულიდან (ზოგ სიტყვას გვერდით რუსული შესატყვისი უწერია).

3. დ. კაროკაშვილის კატალოგში ეს ხელნაწერი გატარებულია, როგორც ისიღორე წერობის ხელნაწერები. თვით ხელნაწერში დამწერის ვინაობა არ ჩანს. ჩვენ შევუდარეთ ეს ხელნაწერი S—2427-ის ტექსტებს, რომლებიც ის წერობის ნაწერებად არის მიჩნეული. ჩვენი ხელნაწერის ბოლო ნაწილის (ე) ხელი სავსებით ისეთივეა, როგორც S—2427-ისა. წინა ნაწილის ხელი კი განსხვავებულია, მსგავსება მხოლოდ რამდენიმე ასოს მოხატულობაში შეიმჩნევა.

(1290)

3177

ქილილა და დამანა. XVIII

307 ფ.: 30X20; ქაღალდი; მუყაოს ყდა; თაე-ბოლონაკული; პირველი დაზიანებული ფურცლები რესტავირებულია; დაზიანებულია 11—13, 25, 82 ფურცლები; მხედრული; სათაურები სინგური; ყოველი არაკის შემდეგ დატოვებულია ადგილი ნახატისათვის; დაუწერელია 49 ფურცელი; დ. ჩუბინაშვილის კოლექციიდან. [XVIII ს. დასაწყისი].

[ქილილა და დამანა]. „...შეტყორცნილისა მსგავსად ზეცას გასრული იყუნეს და შვარდენი, გავაზნი და ბარნი ფრჩხილითა სისხლთა მღურელითა ფრინველთა კელები დაუხსნეს...“ 1r—307v.

წყდება: „...და ჩახედა ჭასა და ნახა კაცი და თქვა: [ვეცდები იმ]ის ამოყვანას, რომ მადლად მომხუდების, და ჩაუ[შვა თოკი], შემოფრინდა თოკზედ მაიმუნი, ამოსწია და ამოიყვანა და ჩაუშვა მეორედ, მოექიდა ლომი და ამოიყვანა...“.

შენიშვნები: 1. „ქილილა და დამანას“ ეს რედაქცია წარმოადგენს კოლექტიური (დავით მეფე, სპარსი და სომეხი) შრომის ნაყოფს (იხ. აღ. ბარამიძე, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. I, 1932 წ., გვ. 184).

2. წინ უნდა აკლდეს საკუთრივ ტექსტს 1 ფურცელი, ბოლოს — მე-13 კარის ნაწილი და მე-14 კარი მთლიანად.

3. ტექსტში ზოგ ადგილას რგოლია დასმული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სპარსულ ტექსტში შესაბამის ადგილას შაირია.

4. ხელნაწერის აშვიბზე და ტექსტის სტრიქონებს შორის სპარსული შაირების თარგმანებია პროზით, აგრეთვე რედაქციული ხასიათის შესწორებანი და შენიშვნები ეახტანგ VI-ის ხელით.

5. ხელნაწერი დაწერილებით აქვს აღწერილი ე. თაყაიშვილს (იხ. 19. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV

Описание, ტ. I, გვ. 302—47).

მინაწერები: 1. 1r-ზე მიწერილია რუსულად: „Книлка и Дамна, перев. Ц. Вахтанга“.

2. 77r-ზე შემდეგი შენიშვნა ტექსტის ხელით: „ამას ქვემოთ, რომელიც ამ ნიშანსა და ნიშანს შუა წერილ არს, ეს სიტყვა სპარსულს წიგნში შიარად სწერია და ამა ნიშნითა სცნობთ“ (ეს ნიშანია რგოლი) (188r).

3. ტექსტისავე ხელითა მინაწერები აშიაზე: „დედანში ბადი სამუმი ეწერა და ზეპირათ სამურს ეძახიან“. „საცა ეს ოქსიო აქუს, შიარი ყოფილიყო“.

4. გერმანული წარწერაა 118v-ზე: „Dieses Buch gehört dem Fürst Georgi Ratieff (!) 1754 Jahr 25 Genniry“.

(1291)

3178

ასომთავრული და ნუსხური წერის, ბეჭდების და ხელმოწერის პირები. 1884

12 ფ.: სხვადასხვა ზომის, გაყვილებულა, გამჭვირვალე, მსხვერვალი ქალაქი: 1884 წ.

პირველ სამ ფურცელზე შემდეგი ბეჭდების პირებია ლეგენდებით:

1. იოანე, ბაგრატ (1r).

2. ერეკლე 2 სხვადასხვა ბეჭედი (2r).

3. ნაზარალიხანი, იმამყულიხანი (2 სხვადასხვა). ვახტანგი, ალექსანდრე, თეიმურაზ(?), დედოფალი ანნა, მეფის ძე იოანე, მეფის ასული თამარ; უფრო მკრთალად: თეიმურაზ, დედოფალი ფერიჯანბეგუმ, იოსებ, იოანე, გიორგი 3r.

4. ერეკლე, სოლომონ (3v);

5. გიორგი (არ ჩანს სახელი ვისია) (4r).

შენიშვნები: 1. ბეჭდის გამოხატულებებს ქვემოთ, ძალიან წერილად, ფანქრით მიწერილი აქვს ქორონიკონები.

2. ფურცლის მარცხენა ქვემო კიდეზე წერია: „თა იოანე ორბელიანი“.

6. გაკრული ძხედრული წერის ნიმუშები 5r.

7. იოანე ორბელიანის, თამაზ ორბელიანის, ეგნათი ციციანოვის, ელიზბარ ფალავანდოვის, ალექსანდრე მაყაშვილის, ეგნატი თუმანოვის, მუხრან ბატონის ძე თეიმურაზის, გრიგოლ ჩოლქაყაევის, თომა(?) ანდრონიკოვის ხელმოწერის პირები (6r).

8. რამდენიმე მთავრული ასოს მოხატულობა (7r).

9. ასომთავრული წერის ნიმუში (8r).

შენიშვნა: ფურცლის ზემოთ წარწერაა: „ასომთავრული ჩართული აიონის მთისა. მლ. პ. კ ა რ ბ ე ლ ო ვ ი“.

10. ნუსხა-ხუცურით წერია: „პირველისა მისთვის შობისა ღალადებდეს მეფსალმუნს და...“ 9r.

შენიშვნა: ზემოთ წარწერაა: „საკითხავიდან“ წმ. ნინოსი — ნათლისღებისათვის“.

11. ასომთავრული წერის ნიმუში 10r.

შენიშვნა: ზემო არშიაზე წარწერა: „ასომთავრული ათონის მთისა. მღ. ჰ. კარბელოვი. ჩუ $\frac{9}{38}$ პღ“.

12. ასომთავრული წერის ნიმუში 11r.

შენიშვნა: მარცხენა კუთხეში თარიღია „ჩუ $\frac{9}{38}$ პღ“.

13. ასომთავრულად ნაწერი ტექსტის ფრაგმენტი 12r.

(1292)

3179

ჩართული (თხზული) წერის ნიმუშები. XIX

2 ფ.: 36,5×24; ქალაღი; მხედრული; I ფურცელზე შავი მელნითა შესრულებული ხელრთვა, მეორეზე — სინგურით: 1v—2v დაუწერელია; დამწერი: შიოშ დედაბეროვი (12); შემოწირულია მარიამ ბერიძის მიერ; [XIX ს.].

[ჩართული წერის ნიმუშები]. — „მარამ, საღვთო... ადამისა, წინაშე ძისა... დღესა მას... განკითხვისასა...“ 1r—2r.

შენიშვნები: 1. ყველა სიტყვის გაშიფრვა ვერ შეეძლებოდა.

2. სინგურით ნაწერი სიტყვები უფრო დიდი ოსტატობითაა შესრულებული.

3. ორივე ფურცელზე ერთი და იგივე სიტყვებია ჩართვით შესრულებული.

ანდერძი: „დავწერე ესე ჩართული ხელი მე, შიოშ დედაბეროვი, ამინ და კირიალესონ“ (1r).

(1293)

3180 ა

ანტონის რიტორიკა. XIX

8 ფ. 17×11; ქალაღი, მომწვანო; მხედრული; სათაური სინგურით; აქვს კვირნიშანი; შემოწირულია თ. სახოკიასაგან. [XIX ს.].

[ანტონის რიტორიკა] „...რამეთუ განლევითა იქმნების ნიეთ ცეცხლისა: ხოლო ძელნი და ქუანი არიან კელოვნებითნი და მგებარენი ნიეთნი სახლისა და ცვლი კელოვნებითი და წარსული ნიეთი არს სანთლისა...“ 1r—8v.

წყდება: „...ჰამბავი იგი არს სიტყუა რამე ანგმნილი ვისთვისმე, რომელიცა თქმულ იქმნების მრავალთაგან თვნიერ ნამდღლისა ვისმე ავქსონისა, ოდეს იგი ითქუას მრავალთაგან პეტრესთვის, ვითარმედ მპარავ არს, ანუ წმიდა...“.

შენიშვნები: 1. ფრაგმენტი მისდევს ანტონის „რიტორიკის“ სრულ ტექსტს (S—920) და ფარავს ამ ხელნაწერის 16r—23v გვერდებს.

2. ფრაგმენტი წარმოადგენს „რიტორიკის“ II წიგნის მე-7 და მე-8 თავების ნაწილებს. მე-8 თავის სათაურია: „ოვს ექუსთა ადგილთა ვარგვანთა, თავი 8“ (8r).

3. ქვესათაურები გატანილია კიდეებზე.

3180ბ

ასკეტიკური ხასიათის ფრაგმენტი. XIX

2ფ.; 18×13,5; ქალაღი, გაყვითლებული; მხედრული; შემოწირულია თ. სახოკიას მიერ; [XIX ს.].

იწყება: „...ზა თუსსა სიცრუით და ნუ სიმართლით, რამეთუ ესეცა ყოვლად უჯერო არს...“ 1r—2v.

წყდება: „თვთ-ჰსკულობა, თავხედობა, ურჩება, ხოლო ურჩება ესე მრავალგუართა მიმართ ვნებათა, გარდა ცემისა...“.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ასკეტიკური ხასიათის თხზულების ფრაგმენტს, სადაც ლაპარაკია სხვადასხვა ცოდვათა შესახებ, როგორცაა: უკრძალუ-შლობა, შებიღწება, ამპარტუანება, ცუდად ზეუობა, თავილობა, თავის-მოყუარება, სოფლისმოყუარება, განცხრობა, თვთ-ჰსკულობა და სხვ.

(1294)

3181

ანტონ კათალიკოსისა და ქეთევან დედოფლის ბიოგრაფიები. XIX

2 ფ.; 35,5×21,5; ქალაღი, გაყვითლებული, მხედრული; შემოწირულია მ. საბინინის მიერ; [XIX ს.].

1. [ანტონ კათალიკოსის ბიოგრაფია]: „ანტონ კათალიკოზი იყო ძეგ იასე მეფისა. დისწული თეიმურაზ მეორისა, რომელმანცა მიიღო თათრობა და მეფობდა ქართლსა...“ 1r—2r.

წყდება: „...საფლავსა უქმნა ქტა თეთრის მარმარილომსა არჩიებისკობოსმან ექსარხოზ ვარლამ შემდგომისა ზედა-წარწერითა...“.

შენიშვნები: 1. ა. ტექსტში მოტანილია ანტონის მიერ დაწერილი და თარგმნილი 16 ნაწარმოების ნუსხა.

ბ. ანტონის მიერ აღზრდილი პირების ნუსხა.

2. ბიოგრაფიის ბოლოს შენიშვნა მ. საბინინის ხელით: „მიხაილ საბინინის საწიგნობლისაგან ჩყვდ წელსა მაისის ით დ. უძღვენი ქართუ-შლოთა, რათა დაიკუნან ესე შესანიშნავი ძეგლი და ტერტეროვან ბერებს არ ჩაუუვარდეს ხელში, თორემ მოიპარამენ, ვითარცა მთელი საქართუშლოს ეკლესიის განძი და ნიში ყურთაავლეკ ჰქმნეს და ყურის მსრესელი კი აღგრა იყო. მოსკოვ, ექსორიობასა ჩემსა“.

2. [ბიოგრაფია ქეთევან დედოფლისა]: „ქეთევან, ქალი თეიმურაზ II, დეიძლი დაამირაკლი II, შობილი დედოფლის თამარისაგან. ოდეს განძლიერდა ნადირშაჰ და მოითხოვა ირაკლი მზევლად, მასვე დროსა გამოსთხოვა მას, რამეთა მიჰსცეს მას ცოლად ქალი თვისი ქეთევან...“ 2v.

შენიშვნები: 1. ტექსტი დაწერილია 2v-ს ქვემოთ ნაწილზე — ზემო ნაწილი სრულიად დაუწერელია.

2. ნაწერი წარმოადგენს შავს. ტექსტი ბევრგან გადახატულია და ნასწორები.

ქილილა და დამანა. 1769 წ.

(სულხან-საბა ორბელიანის რედაქციის)

349 ფ.; 29,5×20; ქალაღი: ტყავგადაკრული ტვიფრული მეყაოს ყდა; მხედრული; სათარები და დასაწყისები სინგურით; დატოვებულია თავისუფალი ადგილები ნახატებისათვის წარწერით „დასახატავი“; ამოფარდნილია 41—42, 184—187 ფურცლები; გადამწერი ანჩისხატის დეკანოზის ძე ნიკოლოსი (349r); ხელნაწერი დ. ჩუბინაშვილისეულია. აქვს კვირნიშანი; 1769.

[ქილილა და დამანა]. „ამას უკან ამ შემოკლებულს არაკებს რომ საქებაარის სიტყვებით შეთხზილია(!) და მითვე შეიკაზმის და ის იტყვის. — ვიწყევით, პირველი არაკი იგავთა, თვალ-მარგალიტთა, მებაზრეთა და სიტყვა-კელოვნებთა გამოძჩხრეველთა და უცხბთა არაკებთათვის პირის ამლებთა და საკვირველთა შემშვერებითა თქმულთა...“ 10v—348v.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „კარი პირველი ქილილა და დამანასი. სპარსულსაგან ქართულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან:

— მე მოვეყვ სპარსთა ზღაპრსა თარგმანებისა მეგბართა, არავინ მიშვებს გარეგან, მათა და გინა მე ბართა...“ (2r).

ბ. „ქ. დასაწყისი პირველი წიგნისა ამის შესავალად თქმული ბრძანისა ან-ვარი სთილისა. — სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად საფუძვლად დაუც და ყოველთა წიგნებთა შინა მოქმელისა სახელი დიდად უსაქელოვნებია...“ (2r—6v).

გ. „ანდერძი დიდს კირსა შინა მყოფისა მეფის ვახტანგისა. — ეამსა მას პატიოსნისა და ამაღლებელისა დედათშვენიერებისა თვითმპყრობელისა და ღმრთივეგვირგვინისანისა მეფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ. რომელი ცხოვრებასა ქართლისასაცა წერილ არს...“ (6v—8r).

დ. [ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა]. „ეს წიგნი ქირმანს, ისპანს შეკირებამი მყოფსა და უსაქმო მზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშაეა მეფის ვახტანგს ქართველთასა სპარსულსაგან ქართულად ეთარგმნინა. — შაირი. მცონარს სოლომონ ამაგებს, კინველა მოსწონს ქებითა, მუშაქნი სამუშაოთა ვერ აღასრულებს დებითა...“ (8r—9v).

ე. „ზალუქი(!) წიგნისა ამის. ა კარი. რიდი ორენა ცაცისა და მიუნდობელი-საგან. ბ. კარი. ავის მოქმედის მისაგებელისა და ბოლო მათი...“ (სულ შეიცავს 14 კარს). (10r).

2. ერთვის: ა. „მეფის ვახტანგის ნაბრძანები:

— ელავ მიქმეს ისევ ისპანს, დამრჩა ეს შეფრთულბელი,

მომცეს პატივი მრავალი, ვა თუ დავაბი სულბი...“ (5 სტროფი) (348v).

ბ. ლექსს მოსდევს: „ვითა წინა ლექსი აჩნს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან-საბამ გალექსა ორბელის ძემან. რასაც ლექსის აზიანედ მანი უზის, მეფის არის ნაბრძანები. დიდის ცდით ჩემგან ნალეაწი, თუცა გაკლიათ გულები“. (349r).

3. ტექსტი რამდენიმეჯერ არის გამოცემული. უკანასკნელად გამოიცა 1962 წ. (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით).

4. ხელნაწერის კიდებზე სიტყვათა განმარტებებია მიწერილი. ზოგ ლექსს შენიშვნა აქვს „მეფის თქმულია“ (86v, 312r...).

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. Описание т. 1, გვ. 292—294).

ანდერძები: 1. „აღიწერა ქალაქსა ტფილისს ჯელითა ანჩისხატის დეკანოზის ნიკოლოზისათა. აწ წინა ვიყოფ სიყვარულსა ღმრთისასა და გვედრებით, რომელნიცა მემთხვივნეთ ნამუშავესა ამას, ჴსენებასა ჰყოფდდეთ ჩემთვის, ჴეშმარიტად ირწმუნეთ. რაოდენ ძალ-მედვა, სიმაართეს ვეცადე. იანუარს კქს უნა“ (349r).

2. 231r-ზეც ასეთივე შინაარსის შენიშვნაა: „მუშაკი ამისი აღექსისს დეკანოზის ძე უღირსი მღუფელი ნიკოლოზს“.

3. 143r-ზე ტექსტისაგან განსხვავებული ხელით შენიშვნაა: „ნიკოლოზის ნათქვამი“.

მიწერილები: 1. „სიტყვას ვიტყვი მეტად მზრიანს, თუ შეესმის ცაცსა მღუფიანს,

მოვახსენებ ბრძენსა, ჴკვიანს, არ ვამხილებ ვიეს, ბნედიანს, ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს, დაუბნელკეს დღესა მზიანს, ჴოჯობეთში ნახავს ჴიანს“ (1r).

2. „ქუბიღონ მკრა გულს ისარი, დამიკოდა, დამიწყულლა, ცნობა სრულად დამიფანტა, სასიკვდილოდ მიმარულლა, ვესტას ტაძრისთვის სანთებლად თავი ჩემი დანიშნულა, და თვალტრემლიანობს ბუღბუღი, რა ვარდზედ სარი დასმულა“ (1r).

3. ლექსის ბოლოს ინიციალებია პ. დ. ეგვეე ინიციალები უზის რუსულ ლექსს (v). ე.ე.გ. თაყაიშვილის აზრით პ. დ. შეიძლება პეტრე დადიანი იყოს (იხ. ჴემოთღასახელბუღი აღწერილობა).

(1296)

3184

ავგაროზი. XIX

გრაგნილი (დახვეულია მუყაოს ფირფიტაზე); 237×8,5; ქალაღი, მოყვი-თაღი, დაღაქიანებუღი, დაზიანებუღი (დასაწყისი შემოკვეთიღი, ტექსტი ზღაღ-აღაღ არ იღიხება); მღედრუღი; სითაღრუღი და დასაწყისუღი სინღურით; ტექსტი მთღიანად ჩარჩოშია ჩასმუღი; ლოცვები ერთმანეთისაღან გაოყოფიღი სწორი ჴორიზონტალური ან ხვეული ხაზუბით; [XIX ს.].

[ავგაროზი]. „...ცხოვრება იღი იყო ნათელ [კაცთა] და ნათელი იღი ბნელსა [შინა] სჩანს...“.

შენიშვნებღ: 1. იწყება იოვანეს თავის მე-4 მუხღით და გრძელდება მე-17 მუხღამდე (ჩათღლით).

2. ავგაროზში შესულია შემდეგი ლოცვებღ:

ა. ლოცვა სამას სამოცდახუთის ჴირის განმაქარვებუღი.

ბ. ლოცვა კვეთებისა.

გ. ჩამოთელიღი 99 სახელწოდების წმ. გიორგი.

დ. მამაო წმიდაო, მეურნაღო სულთა და ჴორცაო.

3. ყოვეღი ლოცვის ბოღოს წერღა: „შეეწინეთ მონასა ამას ღმრთისასა ეღისაბედ და მარღამ“.

4. უკანასკნელი ლოცვის ბოღოს სახელი არ არის მოხსენიებუღი, ცარიელი ადღიღი დატრევებუღი: „განარღნე მონა ესე შენი... ყოვეღისა განსაცდელისაღან“.

(1297)

3185

ავგაროზი. XIX

1 ფ: 33×42,5; ქალაღი; მთღიანი ფუტრეღი დაყოფიღი 48 პატარა ნა-კეცად; თღიეთელი მათგანი წარმოადგენს რვაკუთხედს, შემოჭრიღი კუთხებღი

ისე, რომ ერთმეორესთან დაკავშირებულია წახანგებით; შემკულია მდარე ხარისხის ილუსტრაციებით: ჭვრის, ღვთისმშობლის, მარკოზ, იოვანე, ლუკა; მათე მახარებლების, წმიდა გიორგის, ნინო მოციქულის; ყოველ ორ რვაკუთხედს აქვს ფერადი ჩარჩო, რომელშიც მოთავსებულია ტექსტი; მხედრული; ხელნაწერს აკლია 1 რვაკუთხედი; [XIX ს.].

[ავგაროზი]. „სახარება იოვანესი, თავი პირველი: პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათან...“.

- შენიშვნები:** 1. წარმოდგენილია იოვანეს თავის 1—17 მუხლები.
2. ავგაროზი შეიცავს:
ა. ლოცვა ანგელოზის მიმართ.
ბ. სხვა ლოცვა სავედრებელი.
გ. ლოცვა უმუხრისა, სამას სამოცდა ხუთის კირის გამქარებლისა.
დ. ლოცვა კვეთებისა.
ე. ჩამოთვლილია 65 სახელწოდების წმ. გიორგი.

3. ავგაროზი გადაწერილია დათებასთევის, რაც შემდგომში წაუშლიათ (გარდა 4 შემთხვევისა, სადაც ისევ დათება იკითხება) და ჩაუწერიათ მიხელი (4 შემთხვევაში): „ოთხნო თავნო. სახარებანაო(!): მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე(!), თქვენ შეიწყალენით და დაიფარეთ ყოველისა განსაცდელისაგან და მოაშორეთ ყოველივე სულისა და ხორცისა მავნე ეშმაკი მელდარი, გრძნებაშეტყუილი, ზავვა მონასა ღვთისასა სახელი მიხელი“.

(1298)

3189

კრებული. 1857—1866

203 ფ.; 22,5X17; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; დაზიანებული; დასაწყისში აკლია 1 ფურცელი; ამოვარდნილია 123, 124, 141, 192 და 198. ფურცლები: გადამწერი ლუკა ასათიანოვი (104r); 1857—1866 (104r, 203r).

1. [სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა]. „...თქვა სედრაქ ვეზირმან არაკი. — იყო ერთი მეფე ხორასანსა, დიდებული, კეთილგონიერი, უხვი და მოწყალე...“ 1r—104r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი აღწერილია (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ოთხულებანი, I, 1959 წ., გვ. 267).

2. ხელნაწერის ტექსტი ფარავს ზემოთდასახელებული გამოცემის 8—143 გვერდებს.

ანდერძი: 1857 წ. 27/11. ლუკა ასათიანოვისა არის. დასწერა ხალისთა თვისითა“ (104r).

2. [მირიანი]. „...ერთი გვრიტი იყო, გამოიყვანეს და და(!) გაუშვეს. გვრიტმა მიწას აკოცა და გაფრინდა...“ 105r—147v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შევედარეთ A—1199 ხელნაწერის „მირიანის“ ტექსტს. განსხვავებანი არის, მაგრამ ძირითადად მიჰყვება მას.

ანდერძი: „ეს ზღაპარი არის თათრულიდამ გადმოთარგმული, თუ ნაკლებობა აქვს, მდებარეა. დავსწერე ეს და დასრულდა 1857. 22. 12 წელსა, ლუკა ასათიანომა“.

(კ. ქაველიძეს მოჰყავს ეს ციტატა „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ II ტომში (III გამოცემა, გვ. 337) და წერს: „თუ ამ შენიშვნაში სიტყვა თათრული ნახშიარია არა კონფესიული მნიშვნელობით, რომელიც სპარსულ-

საც გულისხმობს ხალხურ თქმულებაში, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ზღაპარი ჩვენში თურქული გზით შემოვიდა“).

3. [კ ა ტ ის ო მ ი]. „კ ა ტ ა. —

ყოველს მგრძობელ ცნოველს შუა წინ წარმოდგა ნაზად კატა. მას მიუგავს თავი ლომსა, სინჯაბ ბეწვი გარდამტა“ 148r—153r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოდგენს ზაქარია გაბაშვილის „კატის ომს“. ნაბეჭდ გამოცემასთან შედარებისას (იხ. ანთოლოგია, ტ. II, 1928 წ., გვ. 232—237). აღმოჩნდა, რომ ხელნაწერს აკლია შემდეგი სტროფები: 4, 8, 21, 25, 33, 36, 37, 38, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 52 (ნაბეჭდის ნუმერაციით). თავის მხრივ ხელნაწერში ზედმეტია შემდეგი სტროფები: 8, 10, 12, 14, 17, 22, 23, 25, 33, 37, 39, 43, 45, 46, 47, 49, 51 (ხელნაწერის ნუმერაციით). სულ ხელნაწერი შეიცავს 53 სტროფს, ნაბეჭდი კი — 52-ს. სტროფების თანმიმდევრობაც არ არის ერთნაირი.

4. [ი ო ს ე ბ-ზ ი ლ ი ხ ა ნ ი ა ნ ი]. „...კარი პირველი. სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები დიდის მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ის ა გ ა ნ და ლექსად მიხაგანვე თქმული.

არსებით ვიტყვი ცნობილსა სამეხით ერთ-უბნებულად.

ბუნებით განუყოფელად ლთაებით შერთებულად(!)...“ 154r—189r.

შენიშვნა: შეიცავს 309 სტროფს. ნაბეჭდ გამოცემასთან შედარებით აკლია 2 სტროფი — 141 და 309 (იხ. თეიმურაზ I, აღ. ბარამიძის და გ. ჯაობიას რედაქციით. 1934).

ანდერძები: 1. „სრულ იქმნა იოსებისა და ზილიხანისა ამბავი, იხილეთ კეთილად, მკითხველნო, ღვთის მოყვარება იოსებისა — რა მწუხარებანი მოითმინა და ვერ აედუნა ზილიხამ. გარნა ბოლოს ის ზილიხაცა და სდ მიხისს ეგვიპტე მოაქცია კერანი მსახურებისაგან და ბოლოც ხელმწიფობაცა მისის ეგვიპტისა და სჯულიერად ზილიხაცა ღონ მიანიჭა. აღიწერა წელსა 1858. 12. 10“ (189r).

2. „სხოლიო: —

ამის დამწერსა ლუკასა, ხელი მას უქოთ რომელსა, აწვედა გულს ალი მიჯნურის, აწ მისთვის ამის მშრომელსა, ბულბული ჰყეფდა, ეძებდა ვარდსა ჭიკჭიკის მდომელსა, და ეს ლექსი დააყვავებს ვარდსა ბულბულზედ მწყრომელსა.

1866. XIII“ (189r).

5. „ას ო ს ა მ ლ ე რ ე ლ ი. — თუ საქორხე ემღერდეს, ჰელმწიფისგან წყალობა მი[ი]ლოს“ 190r—192r.

6. „ს ი ზ მ ა რ შ ი რ ა ც ნ ა ხ ო. — თუ უღაბნოში იჯდე, ავანტყოფობა არის...“ 193r—198v.

7. „თ ვ ა რ ის ა ნ გ ა რ ი შ ი. — 4-სა მთვარისასა დღე კრძალვისა არის, ნურას ივაჭრებ, ნურას გაჰყიდი, ნურც გარეთ გახვალ...“ 192r—203r.

მინაწერები: 1. „1885 სექტემბრის 10 დღესა გარდაიცვალა სოპია ზტეპანოვნა ასათიანის მეუღლე ქალაქ ბათუმში და იქვეა მიბარებული მიწაში, რომელიც იმავე ზემო ხსენებულს თვის 12 მივაბარეთ. იყო სრული 60 წლისა. 1886 იანვრის 2 დღესა გარდაიცვალა ამ ქალის ზემო ხსენებულის მეუღლე, ესე იგი პავლე ივანეს ძე ასათიანი და(?) ქალაქ ტპილიში(!) და იქვე მიწას არის 65 წლისა მიბარებული, რომელიც 5 ამავე თვეში მივაბარეთ. თითონ იყვნენ ახალციხის მცხოვრებლები. 1886 წელსა 24 იანვრისა დღესა გარდაიცვალა ლუკა ივანეს ძე ასათიანი ქალაქ ახალციხესა და

იქვე არის, მიწას მიეხარებთ 26 იანვარს, 59 წლის იყო და აგრეთვე გთხოვთ, ამის წამკითხველთა, შენდობა შეუთვალეთ ამ სამთავე მიცალბებულს. ღმერთმა შეიწყნაროს სასუფეველსა თვისა“ (104v—105r).

2. „1887-ი წელსა ოქტომბერის სამსა მოქსოვე ქედი, სუხარნიცა, სუფრა, სალფეტო კოსტანცია ფირალოვის ასულმა, საქართველოდან გადმოსულმა, ესწავილბდი ემელია ასათიანოვთან, კ. ფ.“ (153v).

3. „მერცხალმა სიტვა: მინდა ვსთქვა გულით ერთი გალობა“.

— მერცხალმან სიტვა: მინდა გულით ვსთქვა ერთი გალობა კვირა დილის ვანთიადზე,

მგარამ არც არის მწვანე ბალახი, არც ბალახში ვარდი გაშლილა, მხოლოდ მე ვიწვი, ვიდავეი, ტურფა რომ დამიკარგია.

აი, ამითა ვარ უბედური, ორიგ ჩანავა მაქვს შეკრული,

გული დარღითა სავსე მაქვს, ველარ წარმოსთქვი ვერაფერი,

ახ, სიკვდილი, სიკვდილი ყოველს სჯობია,

იქ ვიძინებდი მოსვენებული“ (189v).

4. „...ბარბარისა შესატყვეა ყოველსა დღისათვისა დასწერე ესე 1832 წელსა თებერვლისა 24-სა“ — (ქვემო ყდის საცავი ფურცელი).

5. „1865-სა წელსა ღვინობის თვის 19-სა დღესა მივეცი სახლი ლეონიძესა. თვეში შეიდ მანეთით და ათ შურათ. ოცდა... 1866 წელსა კათათვის 15-სა დღესა დავიპირე მოჟამაგირეთ დიმიტრი კიკვაძე 20 მან. და ერთს ხელ ტანისამოსათა“ (203r).

(1299)

3191

ღმრთისმშობლის შესხმა („გიხაროდენი“). XIX

21 ფ.; 7,5×6; ქაღალდი, გაყვითლებული და დალაქავებული; 3—7 ფ. გახეხებული მწვანე ფერისა; დაშლილი; თავ-ბოლონაკული; პირველი ფურცლები დაღრღნილია; მხედრული; დაწერილია უწიგნურად; [XIX ს.].

[ღმრთისმშობლის შესხმა]. „...ესევითართ გიხაროდენ. რომლისა მიერ სიხარული გამებრწყინდების, გიხაროდენ, რომლისა მიერ წყევა მოაკლდების...“ 3r—21v.

წყდება: „...ცოდვანი ჩემნი შენ უწყი, დედუფალო ჩემო, ღმრთისმშობელო, რამეთუ მფრინველი ვარო, ცხოდ(!) არ მაქვს ადგილი. სადა თავი მივდრიკო. არნ შენდამი დედისა ქრისტეფის ღვთისა ჩვენისა. შენ ხარ შემწე ჩემი, დედუფალო, შენ ხარ მხსნელი ჩემი, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენი ჩემი ღრის მიმართ თავისი მდ...“.

(1300)

3192ა

ელისაბედიანი. XIX

3 ფ.; 28×21; ქაღალდი, გაყვითლებული; უფო; დაშლილი; მხედრული; შავი მელანი; გადამწერი ვასო ბიბილაშვილი (1r); [XIX ს.].

1. [დიმიტრი ბაგრატიონი, ელისაბედიანი]. „ელისაბედიანი, ლექსი ალერსიანი, მამისაგან ნათქვამი, აღარ დასაგვიანი...“ 1r—3r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში სათაურად აქვს: „ძველებური ქართული ლექსები (მანუსკრიპტიდან)“.

2. ნაბეჭდ „ელისაბედინანთან“ შედარებით ნაკლებია (იხ. ანთოლოგია, ტ. II, 1928 წ., გვ. 249).

ანდერძი: „ორი ძველი მქრალთ ნაწერი რვეული მათხოვა ერთმა ურბნისელმა ქალმა კეკელა ხანიშვილისამ. ხელთნაწერი ქალური ხელია და შეიცავს რამდენიმე ლექსს, ლოცვებს, არაკებს და ცოტა რამეს წამლობისას. რვეულები მინდა(!) შეშეძინა ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. მაგრამ ქალს ვერ გავაჩუქებინე. ასე მითხრა: გენაცვაო, დედიჩემისეულია. ოქრო რომ მამცეთ, ვერ გავიმეტებო. მეც ავდექი და გადმოვიწერე. მამყავს აქ ყველა ლექსები სიტყვა-სიტყვით. ვასო ბიბილაშვილი“ (1r სქოლიო).

2. [ლექსი]. „მე ერთს სიტყვას მოვახსენებთ, მაგრამ გვიან გათავდებდა, ერთ ვერანა ქვეყანასა ერთი გლახა დასახლდებდა...“ 3v.

შენიშვნები: 1. ლექსი შეიცავს 3 სტროფს.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 391).

მინაწერი: „ექიმ ტარსაიძის პირდაპირ ინსტიტუტის გვერდზედ იკითხონ ფურცელაძისა სახლში ნათესუვი(!)“ (2v).

3192ბ

ლექსები. XIX

5 ფ.; 36,5×22,5; ქაღალდი, გაყვითლებული; უყლო; დაწლილი; მხედრული; [XIX ს.].

1. „ცეცხლი მოედოს, ვინც რომ ენდოს ლამაზსა ქალსა, თვისსა ტრფიალსა არ დაუშლის სახმილის აღსა...“ 1r.
2. ოთარ ქობულოვი. — გული ოხრამს და გეტრფის შენ, შენ, შოი, შოი, ვიშ, ვიშ, სულო, სულო...“ 1r—v.
3. [ალ. ქავჭავაძე]. — მიველ წალკოტს სანუგეშოთ, გლახ ჩემს გულს სევედა ესეა...“ 1v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ალ. ქავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. 106).

4. იოსებ ნაცვლიშვილი. — თავი ჩემი თვით მოგანდე შენ და მე...“ 2r.
5. ბესიკ გაბაშვილი. — შავნი შაშვნი, შავს გალიას შემსხდარნი...“ 2v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. ბესიკის თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1932 წ., გვ. 21).

6. [ალ. ქავჭავაძე]. — ეამნი რბიან, შენცა მელტვი, შოი სულგრძელო საყვარელო...“ 2v.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 21—22).

7. გარსევან ყორღანოვი. — ახ მაღალო, მაღალო, რა შენ ჩემგნით წახველი...“ 3r—v.
8. [გიორგი თუმანოვი]. — ეშხისა ზღვასა რომ მიველ, ნაპირას უი, უი...“ 3v—4r.

შენიშვნა: ლექსი გამოცემულია (იხ. გ. მიქაძე, გიორგი თუმანიშვილი, კრებულში ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, 1962 წ., გვ. 60).

9. „გზოვე ჩემად სასურველად,

სიამოვნის დასაცველად...“ 4r.

10. „მე ვარ ტრფიალი შენის სილვასა, ჩემო მძახალო...“ 4v.

შენიშვნა: ლექსს დასაწყისში ასეთი შენიშვნა აქვს: „ღნეგრალ ერისთავის მიერ მიწერილი მძახლისთვის სუნბათოვის ცოლისა მელანიასათვის“ (4v).

11. „ვაი რა დავკარგე ძვირფასი ლალი,

სისხლისა ცრემლით არ შრება თვალი...“ 4v—5r.

შენიშვნა: ყოველი ლექსის შემდეგ მიწერილია: „დასასრული“.

შინაწერი: „იანვარი აპანი

თებერვალი სარწყუნისი

მარტი მირკანი

აპრილი იგრიკა

მაისი ვარდობის თვე

ივნისი შთიბისა მთიბათვე

ივლისი მკისა მკათათვე

აგვისტო მარიაშობისთვე

მარიალი ანუ ქველობისა

სექტემბერი ენკნობისა

ოქტომბერი სთველისა ანუ ღვინობის თვე

ნოემბერი გიორგობისა ანუ ტირისკონი

დეკემბერი ქრისტეს შობის თვე

ტირის დენა“ (5r—v).

3192გ

ყარამანიანი. XIX

ფრაგმენტები

1. ფ.; 35×22,5; ქაღალდი, გაყვითლებული, დალაქავებული; მხედრული; [XIX ს.].

[ყარამანიანი]. „...მიყევ და ცეცხლს შიგან შედიო; რა მცირე გზას გაივლი, ერთს აივანს ნახამ, მაგრამ მრავალს საკვირველს მის მიდამოს იხილაე...“ 1r—v.

წყდება: „აქა გარდანქეშან აიარისავან გულუამიშრად აზრალ მეთილისმესთან მისვლის ანბის თქმა ყარამან ფალავანთან თუ ვითარ შეიპყრო წყეული იგი მეთილისმე აზრალ...“.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ფრაგმენტს „ყარამანიანის“ I კარიდან (იხ. ყარამანიანი. სპარსულისავან ქართულად ნათარგმნი სახლთხუცის და სარდლის თვად დავით ორბელიან ოვისავან. საამოჲ სასმენელი. გამოცემული დავით ლაზარევისავან და ნიკოლოზ კობალაძისავან. თბილისი, 1875 წ., გვ. 23).

საკიბეღები

1. ხელნაწერთა კრონოლოგიური ტაბულა

საუკუნე ან წელი	ხელნაწერის №	საუკუნე ან წელი	ხელნაწერის №
IX—X	2955 ეტრატი	1784	2576
XI ¹	2662	”	2956
XIII ¹	2855	1785	2770
XIII ¹ —XIV	2562	1788	2599
”	2574	1790	2588
”	2953 ეტრატი	1791	2575
XIV—XV	2579	1792	3011
XV	3091	1793	2587
XV—XVI	2602	1795	2600
XVI	3051	1798	3175
1689	2829	XVII ¹	2518
XVII	2570	”	2523
”	2577	”	2545
”	2663	”	2546
”	2954	”	2561
”	3014	”	2566
XVIII—XVIII	2601	”	2568
”	2747	”	2571
”	2785	”	2578
”	3049	”	2597
1721	3037	”	2632
1754	2594	”	2645
1755—1756	2916	”	2650
1756	2569	”	2664
1757	3087	”	2676 ა, ბ
1758	2696	”	2715
”	2727	”	2734
1759	3047 (Q—744)	”	2746
1761	2552	”	2764
”	3009	”	2771
1764	2563	”	2775
1766	2684	”	2792
1767	2680	”	2794
”	2850	”	2795
1769	3183	”	2797
1771	2572	”	
1774	2596	”	
1778	2798	”	
1782	3163	”	

საუკუნე ან წელი	ხელნაწერის №	საუკუნე ან წელი	ხელნაწერის №
XVIII	2799	1822	3075
"	2800	1823	3029 ^ა
"	2803 ა, ბ	1824	2773
"	2859	1825	3029 ა
"	2915	1826	2783
"	2942	1828	2725
"	2943	1829	2589
"	2951	1830	2700
"	2967	"	2724
"	2987	"	2784
"	2988	1831	2767
"	3031	1835	2694
"	3046	1836	2781
"	3048	1837	3034
"	3073	1839	2517
"	3074	1841	2701
"	3077	1843	2516
"	3084	1844	2889
"	3085	1848	2886
"	3086	1850	2530
"	3177	1853	2782
XVIII—XIX	2548	1855	2582
"	2564	"	2583
"	2582	"	2585
"	2666	1856	2604
"	2913	1857	2629
1800	2573	1857—1866	3189
